

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატობის მსურველთა რეგისტრაცია

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-04/186 დადგენილებით, საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატობის მსურველთა რეგისტრაცია დაიწყება 2019 წლის 9 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით სტუ-ის კანცელარიაში.

საბჭოს წევრობის კანდიდატმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);
2. CV - მონაცემები შრომითი საქმიანობის შესახებ;
3. სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები (ასლი);
4. შრომების დამოწმებული სია (განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ შრომებს);
5. ეროვნული, საერთაშორისო, დარგობრივი აკადემიის წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები (ასლი);
6. საბჭოს სპეციალობით დაცული დისერტაციების ხელმძღვანელობა (სია);
7. სხვა აქტივობები (სახელმწიფო და სხვა სახის პრემიების ლაურიატობა, საექსპერტო საქმიანობა, საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონალურ პროგრამებში მონაწილეობა, სარედაქციო კოლეგიებში მუშაობის გამოცდილება და სხვა) დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

არასწორი ინფორმაციის დაფიქსირების შემთხვევაში წარმოდგენილი კანდიდატურა არ განიხილება

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოების ჩამონათვალი

1. მშენებლობის (სადოქტორო პროგრამები: მშენებლობა; საგზაო ინფრასტრუქტურა და მიწისქვეშა ხელოვნური ნაგებობები; წყლის ინჟინერია (ქართ , ინგლ.); სამხედრო ინჟინერია)
2. ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის (სადოქტორო პროგრამა: ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია)
3. ტელეკომუნიკაციის (სადოქტორო პროგრამა: ტელეკომუნიკაცია)
4. გეოლოგიის (სადოქტორო პროგრამა: გეოლოგია)
5. სამთო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების ინჟინერიის (სადოქტორო პროგრამები: სამთო ტექნოლოგიები; ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიები; საინჟინრო გეოდეზია; უსაფრთხოების ინჟინერია და რისკების შეფასება)
5. ქიმიის , ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების, მეტალურგიის (სადოქტორო პროგრამები: ქიმია; ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; მეტალურგია)
6. ტრანსპორტის (სადოქტორო პროგრამა: ტრანსპორტი)
7. მექანიკის ინჟინერიის, მექატრონიკისა და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების (სადოქტორო პროგრამა: მანქანათმცოდნეობა, მანქანათმშენებლობა და საწარმოო ტექნოლოგიური პროცესები)
8. არქიტექტურის (სადოქტორო პროგრამები: არქიტექტურა; არქიტექტურათმცოდნეობა)
9. ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის (სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება; ტრანსპორტისა და მრეწველობის მენეჯმენტი; საჯარო მმართველობა)
10. პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების (სადოქტორო პროგრამა: საერთაშორისო ურთიერთობები)
11. სოციალური მეცნიერებებისა და მასკომუნიკაციის (სადოქტორო პროგრამები: სოციალური მეცნიერებები; მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა; არქეოლოგია)
12. ეკონომიკის (სადოქტორო პროგრამა: ეკონომიკა; აგრარული ეკონომიკა)
13. თეოლოგიის (სადოქტორო პროგრამა: თეოლოგია)
14. ინფორმატიკის, მართვისა და ხელსაწყობათმშენებლობის (სადოქტორო პროგრამები: ინფორმატიკა; მართვის სისტემები; ავტომატიზაცია და ტესტ-ინჟინერინგი; ბიოსამედიცინო ინჟინერია (ინგლისურენოვანი))

15. ფიზიკისა და მასალათმცოდნეობის (სადოქტორო პროგრამები: საინჟინრო ფიზიკა; მასალათმცოდნეობა)

16. მათემატიკის (სადოქტორო პროგრამა: მათემატიკა)

17. აგრარული მეცნიერებების (სადოქტორო პროგრამები: აგრონომია; მეცხოველეობა; სასურსათო ტექნოლოგია; აგრარული ტექნოლოგიები; სატყეო საქმე; სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია)

18. სამართლის (სადოქტორო პროგრამა: სამართალი)

19. ფილოლოგიის (სადოქტორო პროგრამა: ფილოლოგია)

20. საინჟინრო მენეჯმენტი (სადოქტორო პროგრამა: ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტი)

განცხადების ფორმა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორს, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს
ა.ფრანგიშვილს

განმცხადებლის სახელი, გვარი პირადი ნომერი

სამუშაო ადგილი, თანამდებობა _____

ტელ.: _____

ელ-ფოსტა: _____

განცხადება

ბატონო არჩილ,

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

საბჭოს დასახელება

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის შესახებ.
სრულად ვეთანხმები „საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებას“ და
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრების შერჩევის წესსა და კრიტერიუმებს.
მზად ვარ ჩემს მიერ წარმოდგენილი შრომები შემოწმდეს პლაგიატის არსებობაზე.

პატივისცემით,

სახელი, გვარი

თარიღი